

Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Krtsanisi Poppies“ and „Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe“

The presentation provides discussion of the verses by Georgian poets Lado Asatiani and Murman Lebanidze: „Krtsanisi Poppies“ (1940) and „Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe“ (1971).

Asatiani appeals to Georgian warriors killed in Krtsanisi battle (1795), mentions wound of one of them and looks to the blood shed by those, who sacrificed their lives to the native land. Lebanidze's verse is about self-sacrificing to the native land, there is mentioned the poppy as well, in our opinion, in this verse Lebanidze makes hint on „Krtsanisi Poppies“.

Attention should be paid to the fact that Asatiani writes about the already sacrificed blood to the native country while Lebanidze writes about the one that will be shed in the future, there is an impression that **Lebanidze in some way „continues“ Asatiani's verse, implying that in Krtsanisi, where the Georgians were defeated, was not the end of Georgians' war, that in the future we shall have to fight and sacrifice ourselves. Reading of this verse by Lebanidze in the same context as „Krtsanisi Poppies“ makes what the poet wanted to say clearer.**

Key Words: comparative analysis, Murman Lebanidze's poem

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„კრწანისის ყაყაჩოები“ და უფლისციხესთან ხილული „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“

მურმან ლებანიძის საქვეყნოდ ცნობილი უსათაურო ლექსი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება – „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, ჩვენი აზრით, სრულყოფილად მხოლოდ

მაშინ აღიქმება, როცა სხვა პოეტთა ზოგიერთი ლექსის ფონზე განვიხილავთ მას, იმგვარი სპეციფიკით არის იგი დაწერილი, რომ თავისი სრული სახით მხოლოდ სხვა ლექსებთან ერთად ამჟღავნებს თავს.

გავიხსენოთ ლექსის პირველი სტროფი:

*უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის –
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!*

როცა ვკითხულობთ სიტყვებს – „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, ჩვენ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ გვახსენდება. კრწანისის ბრძოლაში 1795 წელს გმირულად დაღუპულ მეომრებს ასე მიმართა ლადო ასათიანმა, ასე შეუძახა მათ:

*ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავროხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!*

ყაყაჩოების ხილვა ბრძოლაში დაღუპულთა სისხლს ახსენებს ლადო ასათიანს, ერთ-ერთი მეომრის ჭრილობა უდგას თვალწინ, ისეთ მხატვრულ პოზას ღებულობს, თითქოს ვედარ გაურკვევია, მართლა ყაყაჩოებია მის წინაშე გადაშლილი თუ გმირთა მიერ სამშობლოსათვის მსხვერპლად გაღებულ სისხლს ხედავს.

როცა უფლისციხესთან წითლად აელვარებულ ყაყაჩოებს გაჰყურებდა მურმან ლებანიძე, როცა სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი ახსენა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ არ ახსოვდა მაშინ; ისიც ომზე წერს, ყაყაჩოები მურმან ლებანიძესაც მეომართა სისხლს აგონებს და ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ისე ეხსენებინა ყაყაჩოები და სისხლი, რომ ლადო ასათიანის ძალზე ცნობილი სტრიქონები არ ხსომებოდა, ლადოს

ყაყაოები არ სდგომოდა თვალწინ; პოეტმა, ცხადია, მშვენივრად იცოდა, რომ ხალხში ძალიან კარგადაა ცნობილი ასათიანის ეს ლექსი, რომელიც სკოლაშიც ისწავლებოდა, იცოდა, რომ უყვარს ხალხს იგი, ვფიქრობთ, ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაოებზე“ გააკეთა მან მინიშნება, რომ ალუზიას, რემინისცენციას მიმართა თავისი ლექსის წერისას და ამ საშუალებით შემდეგი გვითხრა: **კრწანისში დამარცხდა ქართველი ხალხი, მსხვერპლად გაიღო იქ სისხლი, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ომი, ჯერ წინ არის ყველაფერი, ზრძოლა ისევ გველის, საქართველოს ისევ მოუწევს ომი და მსხვერპლად სისხლის გაღება**^{*}. მურმან ლებანიძის ეს სტროფი, ჩვენი აზრით, ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაოების“ რემინისცენციაა, ანტითეზა (დაღვრილი – დასაღვრელი) ასათიანისა და ლებანიძის ლექსების საერთო სივრცეშია განსახილველი, – ლადო ასათიანთან გმირთა მიერ **დაღვრილი სისხლია** დახატული, მურმან ლებანიძე კი **„დასაღვრელ სისხლზე“** წერს და, ვფიქრობთ, **თანამოკალმეს ეხმაურება ამით პოეტი**.

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაოს წვეთი“ „დათბობის პერიოდშია“ დაწერილი. იმ დროს სათქმელის გაპარება უკვე იმდენად ძნელი აღარ იყო, ამასთან, ცენზურის მიერ რაიმე საეჭვოს დანახვის შემთხვევაში, ავტორს შეეძლო ეთქვა, – იმის შესახებ ვწერ, რომ, თუ საქართველოს ისევ შემოესია მტერი, არ გაუჭირდება ქართველ ხალხს, კვლავ დაღვაროს სამშობლოსათვის სისხლიო, – ან რაიმე მსგავსი აზრით შეეცდებოდა ცენზორის დამშვიდებას, თუმც, ბოლო სტროფის სტრიქონები: და კითხვა: „ვინ ვის?!“ / ბებერ გულში ლახვრად მაჩნია... ცხადად ბადებს შეგრძნებას, რომ დიდი ხანია, რომელიღაც კითხვა აწამებს პოეტს, იმას კი არ

* საერთოდ, კრწანისის ტრაგედია მძიმე ტკივილი რომ იყო პოეტისათვის, ამ ლექსიდანაც კარგად ჩანს: „*ყურში მიწივის კრწანისის განაჩენივით, / ასიოდ მხედრით / თბილისით უკუქცეული, / გამახსენდება / ხმაღს მტრისას გადარჩენილი, / შემეცოდება / საწყალი მამაჩემივით / ერეკლე – სულკურთხეული*“. ზოია ცხადიას სიტყვით, ერეკლე მეფისადმი მიძღვნილ ამ უსათაურო ლექსში იხატება „*მრავალბრძოლაგამოვლილი, სისხლისგან დაცლილი, ზედდართული სიბერის ჭირი, კრახით დასრულებული კრწანისი*“; ცხადია 2012: 247). ძალიან ტევადია ეს ფრაზა: „*შემეცოდება / საწყალი მამაჩემივით / ერეკლე – სულკურთხეული*“, მოკლე წინადადებით ერთდროულად გამოხატავს პოეტი უდიდეს სიყვარულს თავისი მამისა და მეფე ერეკლესადმი.

ფიქრობს მთელი ეს ხანი, რომ, შესაძლოა, საიდანღაც უეცრად ახალი მტერი შემოვარდეს, არამედ ძველი სადარდებელი აწუხებს, ის უღრღნის გულს და მთავლიტის წარმომადგენელი ალბათ მაინც დაფიქრდებოდა, – ასეთი რა კითხვა აჩნია ამ ბებერ გულში მურმანსო – და ბოლომდე მშვიდად იქნებ არც იყო იგი, ძალიანაც კარგად მიხვდებოდა, რაც იგულისხმა პოეტმა, რა სტანჯავდა, რა ჰქონდა გულში წლების განმავლობაში გაჩრილი; სტალინური რეპრესიების წლები უკვე დიდი ხნის ჩავლილი, პოლიტიკა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გარკვეულწილად შეცვლილი იყო, მაგრამ ჯერ მაინც საბჭოთა იდეოლოგია ბატონობდა და ალბათ მთავლიტის წარმომადგენლებსაც სჭირდებოდათ გაბედულება და, თავისთავად ცხადია, 60-იანელთა თაობის მწერლებისაგან ჯერაც საკმაოდ დიდ გაბედულებას მოითხოვდა ასე წერა (თუ ძალიან დიდი ნიჭი არ ჰქონდა შემოქმედს, ნაკლებად პატიობდნენ ამგვარ გაბედულებას); მურმან ლებანიძე ამკარად ამბობს, რომ დიდი ხანია, სტანჯავს, დაპყრობილი რომ არის საქართველო.

ამ ლექსში თითოეულ სიტყვას, ვფიქრობთ, სასვენი ნიშნებსაც კი, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მინიჭებული. „არა დაღვრილის – / დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...“ – ამბობს პოეტი და სიტყვა „მაცნეა“-ს შემდეგ სამ წერტილს სვამს, რაც იმაზე უნდა მიაანიშნებდეს, რომ მეტის თქმა უნდა ავტორს, მაგრამ აღარ ამბობს და გვახვედრებს, გვანიშნებს მხოლოდ სათქმელს. ეს სამი წერტილი, რომელიც შემდეგ სტროფებშიც მეორდება, შესაძლოა, გაუცნობიერებლად, იმ შინაგანი განწყობილებიდან გამომდინარე დაწერა, რომ ბოლომდე არ თქვა სათქმელი, შეწყვიტა საუბარი, თუმც, ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება, გაუცნობიერებლად გაჩენილიყო ეს სასვენი ნიშნები, – ტაეპებად დაყოფა, დიდი და პატარა აზრაციც კი ძალზე გააზრებულად ჩანს ამ ლექსში დაცული და საფიქრბელია, რომ სამი წერტილიც გაცნობიერებულად დაწერა პოეტმა და სასვენი ნიშნებითაც გვესაუბრება იგი.

შემდეგი სტროფი:

*მე დავინახე
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...*

არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

აქ ლოცვის განწყობილება ემატება ლექსს. სვეტიცხოველი წარმოსახვაში დაუდგება პოეტს თვალიწინ, თოთხმეტ ციხესაც წარმოსახვაში ხედავს და ლოცვასთან ერთად ხმლით დაცულობაც რომ არის საჭირო, ამასაც გვეუბნება. სვეტიცხოველი გალაკტიონის მიერ წარმოსახულ ნიკორწმინდის ტაძარს გვახსენებს, გვაგონდება გალაკტიონის: „ვგრძნობ, ვით დიადია / თორმეტი სარკმელი, / ხაზებში ანთია / ცეცხლი მისარქმელი“ და ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ლოცვის განწყობა დაუფლებია მურმან ლებანიძეს ამ დროს (თუ რატომ ვახსენეთ აქ გალაკტიონი, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი), პოეტმა დასაწყისში კრწანისის მარცხი გაგვახსენა, მინიშნებით გვითხრა, რომ ქართველთა ომი ჯერ არ დამთავრებულა და შემდეგ კი ტაძრისაკენ გადაიტანა მზერა და თითქოს თორმეტი მოციქული წარმოსახა ქართველთა მხსნელად, იქვე თითქოს გაახსენდაო, რომ ხმალიც საჭიროა სამშობლოს დასაცავად და ციხეები ახსენა; შინაგანი ტექსტი აქ საკმაოდ მკაფიოდ ჟღერს, – დაემარცხდით ქართველები, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის, ბრძოლა კიდევ გველის და ამიტომ ვილოცოთ და მკლავიც არ მოვადუნოთ.

ბოლო სტროფი ასე ჟღერს:

მშვენიერია
ორ ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი
სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

ამ სტროფში უკვე მკაფიოდ არის გაკეთებული გალაკტიონზეა მინიშნება; საქართველოში საყოველთაოდაა ცნობილი ლექსი

– „მშობლიური ჩემო მიწავ!“, „კრწანისის ყაყაჩოებთან“ ერთად ისიც ისწავლებოდა სკოლებში და გალაკტიონის სიტყვები: „ორ ზღვას შუა ძველისძველად / საომარი იყო ლელო – / ის გადარჩა და სახელად / ეწოდება საქართველო“, იმათაც ეცნობათ, ვისაც არ უყვარს პოეზია. მურმან ლებანიძემ, ცხადია, ძალიან კარგად იცის, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი გაახსენდება ბევრს მაშინ, როცა წაიკითხავს ამ სიტყვებს: „მშვენიერია / ორ ზღვას-შუა კავკასის ხედი“ და იგი, ვინც ამჯერად უკვე გალაკტიონის ლექსის კონტექსტში აღიქვამს ამ სტრიქონებს, მიხვდება, თუ რას გვეუბნება შემდეგ პოეტი, – იგი ისევ ცხადყოფს, რომ მომავალში უნდა გაირკვეს, თუ ვინ ვის დაამარცხებს ერთიმეორესთან ასპარეზში და ამჯერად უკვე გალაკტიონზე მინიშნებით აზუსტებს, რომ ომია ეს ასპარეზი, „ორ ზღვას-შუა“ მდებარე „კავკასის ხედის“ ხსენება მკითხველს გალაკტიონის „საომარ ლელოს“ ახსენებს და კიდევ ერთხელ უცნობიერებს, რომ ომი მოელის საქართველოს, რომ საომარი ლელოა მისი სამშობლო (გალაკტიონი თუ მხოლოდ საქართველოზე წერს, მურმან ლებანიძე კავკასიის ხედს ახსენებს და იმის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რომ მთელ კავკასიასთან წამოწყებულ მოსალოდნელ ომზე წერს). მურმან ლებანიძის მიერ ორი ზღვის ხსენების შემდეგ უკვე სრულიად აშკარა ხდება, რომ გალაკტიონისაკენ ჰქონია მზერა მიმართული პოეტის და ცხადი ხდება ისიც, რომ მეორე სტროფში სვეტიცხოველისა და თორმეტი სვეტის ხსენებით გალაკტიონის „ნიკორწმინდაზე“ მიუნიშნებია; რადგან მესამე სტროფში მკაფიოდ ამახვილებს პოეტი ყურადღებას გალაკტიონზე, ირიცხება ვარაუდი, რომ მეორე სტროფის წერისას პოეტურ ზეგავლენაში მოქცევის ფაქტის წინაშე ვდგავართ (რადგან მესამე სტროფში ცხადად და გამიზნულად მიანიშნა გალაკტიონზე, საფიქრებელი ხდება, რომ მეორის წერის დროსაც ალუზიისათვის მიუმართავს), იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრწანისის ტრაგედიის გახსენების შემდეგ ნელ-ნელა გალაკტიონის სამყაროსკენ იწყებს პოეტი გადასვლას, გალაკტიონივით სულიერი ტაძრისაკენ გადააქვს მზერა, ტაძრის თორმეტი სვეტის ხსენებით გალაკტიონისეული „ნიკორწმინდის“ ასოციაციას გამიზნულად იწვევს და ბოლოს კი უკვე გამოკვეთილად გადააქვს აქცენტი გალაკტიონზე და ამ პოეტზე გაკეთებული ამჯერად უკვე მკაფიო მინიშნებით გვეუბნება, რომ „საომარი ლელოა“ ჩვენი სამ-

შობლო და არ ასვენებს იმაზე ფიქრი, თუ ვინ ვის დაამარცხებს მოსალოდნელ ომში. იბადება განწყობილება, რომ ქართველ პოეტთა სულიერ საუფლოში შესულა მურმან ლებანიძე, თითქოს ლადო ასათიანს სწვევია იმქვეყნად და მასთან ერთად კრწანისის ბრძოლა და არაგველები გაუხსენებია, მერე გალაკტიონისკენ წასულა, მის სულიერ სამყაროს მიახლება და დიდი პოეტის გვერდით ტამარში ულოცია, ბოლოს კი თითქოს თავად გალაკტიონი ამეტყველდაო მურმან ლებანიძის ლექსში, თითქოს გალაკტიონის ხმა გვესმის, როცა ვკითხულობთ სიტყვებს: „ორ ზღვას-შუა“ და ვხედავთ გალაკტიონის მახლობლად მდგარ მის თანამოკალმეს, სამშობლოზე რომ წუხს ამ ლოცვის დროს. ვფიქრობთ, რომ „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ – ეს არის ლექსი, რომლიდანაც სამი პოეტის ხმა მოისმის, ლადო ასათიანისა და გალაკტიონის ლექსებთან თანახმიერებაშია იგი დაწერილი.

ზემოთ ითქვა და ისევ გავამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ, სანამ რეფრენს („არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი!“) დაწერდეს, სტრიქონების ბოლოს ყველგან სამ წერტილს სვამს პოეტი. რეფრენი კი ძახილის ნიშნით სრულდება, მოკლედ ჭრის პოეტი სათქმელს, – მკითხველმა მთელი სიმძაფრე უნდა იგრძნოს ამ სიტყვებისა; მინიშნებით ნათქვამ ფრაზებს ყველა ჯერზე სამი წერტილი მოაყოლა მურმან ლებანიძემ, რეფრენი კი ყველგან ძახილის ნიშნით დაასრულა და მკითხველისათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ მეტის თქმა აღარ არის საჭირო, – პოეტთან ერთად ყველას უნდა გვაწუხებდეს საქართველოს მომავალი, – იმიტომ, რომ ამის მეტი სხვა სამშობლო ჩვენ არ გაგვაჩნია! მესამე სტროფში ორჯერ არის ნახსენები სიტყვა „არავითარი“ და განმეორება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიტყვას, – მთელი სიმძაფრით გამოაჩინა პოეტმა, რომ ერთადერთია ქართველის სამშობლო, ცხადია, უკვე შეიძლება პირდაპირ ითქვას, გვითხრა, რომ – საქართველოა ჩვენი სამშობლო და არა – მთელი საბჭოთა კავშირი... მანანა კვაჭანტირაძის აღნიშვნით, მურმან ლებანიძის ამ ლექსში „ზუსტად შემოიხაზა სამშობლოს ცნების გეოგრაფიული და ემოციური საზღვრები, აშკარად, სრული რადიკალიზმით გაცხადდა ბრძოლის იდეა და მზადყოფნა“ (კვაჭანტირაძე 2016: 229).

გარდა იმისა, რომ მინიშნებები, ალუზიები ცხადად იკითხება, ეს ლექსი ინტერპრეტაციის საშუალებასაც გვაძლევს, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ განწყობილებაზე, რომელიც არაერთ მკითხველში, შესაძლოა, აღძრას ლექსმა, მაგრამ რომლის შექმნაზე მიზანმიმართულად არ უზრუნია ავტორს. ლექსი „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ ჩვენ გვასხენებს გურამ რჩეულიშვილის ცნობილ მოთხრობას – „უსახელო უფლისციხელი“, რომელიც ასევე ბრძოლის, ქართველთა გადარჩენის თემას ეხება. არც ისაა გამორიცხული, რომ, როცა უფლისციხეზე წერდა, „უსახელო უფლისციხელი“ ახსოვდა მურმან ლებანიძეს მაშინ, არ არის შეუძლებელი, რომ გაითვალისწინა, მკითხველში ამ მოთხრობასთან ასოციაციასაც რომ დაბადებდა მისი სტრიქონები და, იქნებ, შორეული მინიშნება გააკეთა კიდეც მასზე, დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ფიქრობდა თუ არა წერის დროს გურამ რჩეულიშვილზე, მაგრამ ჩვენში მის მოთხრობასთან ასოცირდება ეს ლექსი და ორი ნაწარმოების ერთ კონტექსტში განხილვა კი ასეთ სურათს გვაძლევს: მუნჯია „უსახელო უფლისციხელის“ მთავარი პერსონაჟი, უენო, ჩანს, ტყვედ ჩაუგდიათ ოდესღაც და ენა მოუკვეთიათ მისთვის, რადგანაც მტრის მთავარსარდალს მზარეულად ემსახურება და მტერს კი ურჩევნია, უენო იყოს იგი. ეს მუნჯი კაცი უფლისციხეში გამაგრებულ თანამემამულეებს აფრთხილებს, რომ მტერმა ციხეში შესასვლელი საიდუმლო გზა იცის და თავდასხმას აპირებს. რადგან ვერ ლაპარაკობს, ხელით ანიშნებს თავისიანებს, თუ სად არის მტერი.

დიდი საქმის ჩუმად მკეთებელი ერთ-ერთი გმირი წარმოდგება ამ მოთხრობიდან ჩვენ წინაშე, მურმან ლებანიძის ლექსიდან კი ვხედავთ ავტორს, რომელიც ასევე შემალულია, „უხმოდ“, გაცხადებული სიტყვების გარეშე, მინიშნებებით გვესაუბრება, ალუზიებით ამბობს, რომ „ახალი კრწანისი“ წინ არის და უნდა ვილოცოთ, თავი უნდა დავიცვათ მანამ, სანამ ეს მოსალოდნელი ბრძოლა გაიმართებოდეს. ვხედავთ ამ სურათს და ჩვენს ასოციაციაში „უსახელო უფლისციხელის“ უენო პერსონაჟი (ხელით რომ ანიშნებს თანამემამულეებს, თუ სად არის მტერი და ჩუმად რომ ლოცულობს) და მინიშნებებით მოსაუბრე პოეტი ერთმანეთს ემსგავსებიან. ჩვენ წინაშე მოჩანს სემანტიკური ველი, რომელშიც

ზემოხსენებულ პოეტებთან ერთად გურამ რჩეულიშვილიც არის თავისი მოთხრობით შემოსული და მომავალში შეგვიძლია, იმაზეც ვიფიქროთ, გაცნობიერებულად შემოიპატიჟა ამ ველში პოეტმა გურამ რჩეულიშვილი თუ მისი ქვეცნობიერებიდან გამომდინარე, ან თავისთავად, მოხდა ეს შემოსვლა.

მურმან ლებანიძესთან ვიპოვით ბევრ ლექსს, რომლიდანაც მთის არდაცლას, შრომას გვევედრება ავტორი. მთისა და სოფლის მოვლა, ანუ შრომა არის, პოეტის თანახმად, ხსნის ერთ-ერთი უმთავრესი გზა, შრომამ და სულიერმა ღვაწლმა, შემოქმედებამ გადაარჩინა საქართველო, ამ ქვეყანაში „ყოფილან ოპიზრები – გასამტერებელი, / ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი, / რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...“, – მურმან ლებანიძის პოეზიაში მკაფიოდ იხატება გადარჩენის ის გზა, რაც შრომას, შემოქმედებით ცხოვრებას გულისხმობს და ამ ფაქტმა ყოველთვის უნდა დაიმსახუროს ყურადღება, ამასთან კარგად ჩანს, რომ ბრძოლის სულისკვეთებაც ძლიერად სუფევს მის პოეზიაში და არც ეს უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა (ბრძოლის სულისკვეთებასთან დაკავშირებით, მურმან ლებანიძის შემოქმედებიდან გავახსენდა და, როგორც ერთ-ერთ მაგალითს, მკითხველსაც მოვუყვანთ ერთ ლექსს და გავახსენებთ, თუ რა გაბედულად დაწერა პოეტმა სიტყვები, რომლებშიც საქართველოსადმი ავად განწყობილ რომელიღაც კონკრეტულ პიროვნებაზე მიგვანიშნა და რომლის სახე სიტყვებში – „თურქის თემი“ შენიღბა; „თურქიაო“ – არ ამბობს, „თურქის თემისად“ გვაცნობს ამ კაცს, ანუ გვაგებინებს, რომ ეროვნებით თურქზე არ საუბრობს და გვაფიქრებს, თუ ვინ უნდა იყოს იგი: „აფხაზეთზე / ამ კაცს თვალი უჭირავს – / ეს კაცია, / ალბათ, თურქის თემის... / და მე ვყვირი: / – ჩემს სისხლს დალევს უწინამც! / და მე ვმდერი: / – აფხაზეთი ჩემი!“. მთელი ხმით შემოგვძახის და მოგვიწოდებს ლექსის ავტორი, რომ არ დავამარცხებინოთ ასეთებს თავი. ზოგ მკითხველს, იქნებ, ერთი კონკრეტული ადამიანი, დიდი თანამდებობის ფუნქციონერი, ახსენებოდა „ამ კაცში“, – ის, ვინც ქართველთა და აფხაზთა გათიშვის მოსურნედ იყო ცნობილი ხალხში... ჩვენი აზრით, „თურქის თემისად“ იმიტომ მოიხსენია, რომ შეენიღბა მისი სახე, – ამ სიტყვებით ნათლად გავგაგებინა, რომ თურქზე არ დაუწერია და, ასე ამგვარად, შენიღბვის

გარდა, კონკრეტული მინიშნების ფუნქციაც შეასრულებინა თავის სიტყვებს...):*.

ქართულ მწერლობაში, ერთი მხრივ, ბრძოლის, თავგანწირვის სულისკვეთებაა წინ წამოწეული, მეორე მხრივ კი, სულიერი ღვაწლი, შემოქმედებითი ცხოვრება და შრომაა ხსნის გზად დასახული (ცხადია, საბჭოთა ნარატივის სტილით გადმოცემულ შრომის სულისკვეთებას არ ვგულისხმობთ)... მე-19-ის ქართულ ლიტერატურაში ეს გზა ყველაზე უფრო გამოკვეთილად ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილით „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ არის წარმოდგენილი („*ებლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა“*...). ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ მივიჩნევთ, რომ ქართველ ხალხში მე-20 ს-ში და მანამდე თავისუფლების იდეა უფრო ბრძოლის სულისკვეთებასთან და საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღებასთან ასოცირდებოდა, შინაგანად უფრო მეტად სწორედ ამგვარი სულისკვეთება ავსებდა ხალხს და ახლა, როცა, ჩვენი სიმპოზიუმის თემატიკიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იან წლებზე გადაგვაქვს სიტყვა, ვფიქრობთ, არც ამ შემთხვევაში შეეცდებით და ვიტყვით, რომ ამ დროს საქართველოს ეროვნული მოძრობისათვის უფრო პირველი გზის იდეა იყო პოპულარული

* შენიღბულ სათქმელთან დაკავშირებით დავძენთ: ხშირად ხდება, რომ ესა თუ ის ლექსი უყვარს მკითხველს მიუხედავად იმისა, რომ პოეტის სათქმელი ზოგჯერ არცთუ ბოლომდე გასაგებია; გავიხსენოთ ლექსი „*სამშობლო*“: „*ჯიხვი ქარაფზე ხტის, / ბუზს არ აიფრენთ ქედებო! / კავკასით პონტის პირს / ძირს ჩაკიდულხართ ხედებო! / მე რომ სიკვდილი მჭირს, / ხომ შენგნით, ჩემო ედემო?! / ამბავს წაუღებთ ვის, / თქვენ, ფრინველებო ღვთის – / წითელ-ფეხება მტრედებო?!“*; უმშვენიერესია ამ ლექსის ფერები, ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ერთგვარი ზღაპრული სამყაროც წარმოდგება ჩვენს თვალწინ მაშინ, როცა „*წითელფეხება მტრედებზე*“ ვკითხულობთ, – ის სამყარო, რომელსაც თავისი „*ლოგიკა*“ აქვს, რომელშიც ყველაფერი არ საჭიროებს ლოგიკურ ახსნას; ეს მართლაც ასეა, ოღონდ, ლექსს, ვფიქრობთ, ლოგიკას სავსებით დაქვემდებარებული სათქმელიც აქვს: რა თქმა უნდა, სამშობლოს გამო იტანჯება პოეტი და „*სიკვდილია*“ ამ ტკივილის მეტაფორა; როცა ძირითადად ამაზე გადავიტანთ ყურადღებას, ადვილად აიხსნება, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „*ამბავს წაუღებთ ვის*“: – ცხადია, რომ „*ღვთის ფრინველები*“ ღმერთთან წაიღებენ ქართველთა ტკივილის „*ამბავს*“... ღვთისგან რომ არაფერი იმალება, ამას გვეუზნება პოეტი... ვფიქრობთ, ასეთი სურათის დახატვით ღმერთის იმედზე წერს ლექსის ბოლო სტრიქონებში მურმან ლებანიძე.

და მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა მხრიდან ბრძოლას უკიდურესად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, სწორედ ამ პირველი გზის განსაკუთრებული პოპულარობაც შეიქმნა **ერთ-ერთ** მთავარ მიზეზად იმისა, რომ სისხლის ფასად დაჯდა თავისუფლებისაკენ სვლა, რის საყოველთაოდ თვალსაჩინო გამოხატულებად 1989 წლის 9 აპრილი იქცა, შინაგანად სწორედ ბრძოლისა და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანის იდეით იყო დამუხტული ქართული ცნობიერება და, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ მენტალიტეტმაც განაპირობა, რომ თავისუფლების გზაზე მსხვერპლის გაღება მოუწია ქართველ ხალხს...

ეს არის საკითხები, რომლებიც მეცნიერების არაერთი დარგის ასპექტებიდან საჭიროებს შესწავლას და ჩვენ მათზე აღარ გვაგრძელებთ სიტყვას, ამჯერად ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებაზე გავამახვილებთ, რომ ქართული მწერლობა ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ერის მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში და, როცა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს მიმოვიხილავთ, ისიც ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აკისრია მწერლობას ამ მოვლენათა განვითარებაში. პროზა, პოეზია ადამიანთა სულიერ სახეზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს (თუ მას მხოლოდ გართობისა და თავშექცევის როლი დაეკისრა, ცხადია, სულ სხვა ზეგავლენას მოახდენს...), ქართული მწერლობა უმეტესწილად ყოველთვის უფრო მაღალი იდეალებით აყალიბებდა ხალხის მსოფლმხედველობას და პოლიტიკურ ცხოვრებაზეც დიდი გავლენა აქვს მას მოხდენილი. მსხვერპლის გარეშე ალბათ ძნელია თავისუფლების გზაზე სვლა, თუმც, როცა მწერლობა იმ გზასაც გვიჩვენებს, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებულ წერილში ერთგვარად ფორმულირებული სახით წარმოჩნდა და რაც, როგორც ითქვა, მურმან ლებანიძესთანაც არის ასახული, ცხადია, ხალხის მიერ მხედველობის არეალიდან მეორე პლანზე მისი გადატანა გამართლებული არ არის.

ახლა, რადგან სიტყვამ მოიტანა, სანამ დავასრულებდეთ მოხსენებას, გვინდა, ორიოდე სიტყვით გალაკტიონის ზემოხსენებული ლექსისა („*გამარჯობა, აფხაზეთო შენი*“, – 1945 წ) და მურმან ლებანიძის „*აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს*“ (1976 წ) ურთიერთმიმართების საკითხსაც შევხებით. გალაკტიონთან კვითხულობთ:

*გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,
მომენატრა მზე სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან!*

ამ ლექსმა, რომელშიც მშობლიური მიწის მიგებებას და იმას ითხოვს პოეტი, რომ ძველი მეგობარი იცნოს აფხაზეთმა გალაკტიონში, ჩვენს თანამედროვე მკითხველში ისეთი შთაბეჭდილება დაბადა, თითქოს ქართველთან ძველებური მეგობრობის არმოშლისაკენ მოუწოდებს პოეტი აფხაზს, თითქოს ერთი რიგითი ქართველის ენით ამეტყველებულა და სთხოვს, არ დაავიწყდეს აფხაზს, ქართველი რომ არის მისი ნამდვილი მეგობარი და არ გაუუცხოვდეს ერთიან საქართველოს, გალაკტიონის ლექსში ეს სათქმელიც დაინახა თანამედროვე ქართველმა მკითხველმა, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ დაწერილ სიმღერაში აისახა და ამგვარი განწყობილება მართლაც უნდა იყოს ჩადებული ხსენებულ ლექსში; დასაწყისში, როცა გამარჯობას ეუბნება, თითქოს უმღერს გალაკტიონი აფხაზეთს, შემდეგ კი სთხოვს მას, რომ ძველებური სიყვარულით შეეგებოს. შესაძლოა, ნაწილობრივ პოეტის დროს არსებულმა ვითარებამ და ნაწილობრივ კი პოეტის შინაგანმა, გაუცნობიერებელმა შეგრძნებამ, იქნებ, ერთგვარად წინასწარმეტყველურმა განცდამ გააჩინა ამ ლექსში ძველებური მეგობრობისაკენ მოწოდების განწყობილება; მურმან ლებანიძის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილ სტრიქონებში გალაკტიონის ამ ლექსისეული რიტმი, ლექსიკა და სიტყვათა წყობა მეორდება („გა-მარჯობა, აფხაზეთო, შენი“!, – „და მე ვყვირი: – აფხაზეთი ჩემი!“); მურმან ლებანიძეს საკუთარი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რიტმი და სინტაქსი ჰქონდა, შეეძლო, თავისი გამოკვეთილი სტილით ეწერა ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში გალაკტიონის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსის რიტმს მიმართა და, ჩვენი აზრით, ეს შემთხვევით არ მომხდარა, – ვფიქრობთ,

რომ მან ასეთივე განწყობილებით ადრიდანვე აღიქვა ხსენებული ლექსი, დიდი პოეტის სიტყვებში სხვა სათქმელთან ერთად ესეც ამოიკითხა და აფხაზეთზე წერის დროს რიტმის გამეორებით შინაგანად გაეხმაურა გალაკტიონის ამ ლექსს, თითქოს აფხაზეთთან მოსაუბრე გალაკტიონის გვერდით დადგა მაშინაც და მასთან ერთად დაიწყო ამ მხარეზე საუბარი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავისი საყვარელი პოეტის სტრიქონების წაკითხვის შემდეგ გალაკტიონის მიერ ნათქვამის „გაგრძელება“ მოუნდა და განგაში ატეხა იმის გამო, რომ ვიღაცას აფხაზეთის ხელში ჩაგდება, ერთიანი საქართველოსაგან მისი ჩამოშორება და დამონება მოსურვებია; მრისხანებს პოეტი ამ კაცზე და სამშობლოსათვის თავგასაწირავადაც არის მზად; ვიმეორებთ, მურმან ლებანიძეს საკუთარი მხატვრული სამყარო აქვს, მისი ფერები, ხმა გამორჩეულია და მკაფიოდ ჩამოყალიბებული თავისთავადი რიტმითა და სიტყვათწყობითაც არის მკითხველისათვის ეს პოეტი საყვარელი (ლექსის კითხვის მისეული მანერაც უყვარს მკითხველთა უმეტესობას), ამდენად, ჩვენ პოეტურ ზეგავლენაზე, ისევე, როგორც გალაკტიონის ზემოხსენებულ ორ ლექსზე მსჯელობისას, არც აქ ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გალაკტიონის რიტმიკასთან მიახლოებით ასევე რემინისცენციას მიმართა მურმან ლებანიძემ და დაბადა განწყობა, რომ თითქოს შეავსო გალაკტიონის ის ნათქვამი, 40-იანი წლებიდან რომ მოგვაწვდინა პოეტმა, თითქოს განავრცო მისი სიტყვა, დიდი პოეტის მიერ თქმულს თავისი მხრიდანაც დაამატა სათქმელი და ახლა უკვე 70-იანი წლების პოზიციიდან თქვა ის, რაც გალაკტიონს 1945 წელს არ უთქვამს, გალაკტიონის საუბარი განაგრძო და დასძინა, რომ მის დროში უკვე რეალური გახდა იმისი საფრთხე, რომ აფხაზმა ქართველში ვეღარ იცნოს ძველი მეგობარი, რომ არსებობს ამქვეყნად ერთი კაცი, რომელსაც აფხაზეთზე უჭირავს თვალი და რომელსაც სურს, რომ აფხაზმა სხვათა საშუალებით წაგვართვას და აღარ მოგვაგებოს მშობლიური მიწა, გაგვიუცხოვოს და სიყვარულით ნათქვამი გამარჯობის თქმისას ასეთივე გამარჯობით აღარ შეგვეგებოს, სურს, ვეღარ იცნოს აფხაზმა ქართველში ძველი მეგობარი, გადაამტეროს ისინი ერთუბრთს და შემდეგ დაანაწევროს მათი ქვეყანა და თვითონ იგდოს ხელთ აფხაზეთი (ერთ ადამიანზე მიგვანიშნებს, თუმც, ცხადია, იცის, რომ მარტო არაა ეს კაცი და მთელი სისტემა დგას მის უკან). გალაკტი-

ონის ლექსი, როგორც ითქვა, „სიმღერის“ განწყობით იწყება და შემდეგ ძველებური მეგობრობისაკენ მოწოდება გაისმის; მურმან ლებანიძე წერს: „და მე ვყვირი: / – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!“, მერე თითქოს ახსენდებაო, „სიმღერაც“ რომ არის გალაკტიონის ლექსი და თავის ნათქვამს, შესაძლოა, ისევ გალაკტიონთან შეხმიანების მიზნით ამატებს: „და მე ვმღერი: / – აფხაზეთი ჩემი!“, თუმც, გალაკტიონისეზური „სიმღერა“ არ იგონება მის სტრიქონებში, გალაკტიონის რიტმსა და სიტყვათწყობას იმეორებს, რითაც მის ლექსს გვახსენებს, მაგრამ სათქმელის შინაარსს ერთიანად ცვლის და, გალაკტიონისაგან განსხვავებით, განგაშისა და მრისხანების ზარებს რეკავს; პოეტები ხშირად მართავენ ხოლმე შინაგან დიალოგს, ეხმაურებიან ერთი-მეორეს, ზოგჯერ ძალიან ღრმადშინაგანი და შემალულია ეს დიალოგი და საჭიროა, გავიგონოთ მათი ურთიერთშეხმიანება.

ჩვენი მოხსენების მთავარი დასკვნა ასეთ სახეს ღებულობს:

ფვიქრობთ, მურმან ლებანიძის ლექსის („უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“) უკეთ გასაგებად აუცილებელია, რომ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოებისა“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსების („მშობლიური ჩემო მიწავ“ და, ასევე, – „ნიკორწმინდა“) კონტექსტში განვიხილოთ იგი, ჩვენი აზრით, მურმან ლებანიძე ლადო ასათიანისა და გალაკტიონის ხსენებულ ლექსებზე მიგვაწინიშნებს თავისი „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთით“.

P.S. ამ საკითხებზე ჩვენთან პირადი საუბრისას ქ-ნმა მანანა კვაჭანტირაძემ აღნიშნა, რომ „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი“ გამომახილი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის სიტყვებისა, რომლებიც შემდეგ ანა კალანდაძესთან გამეორდა: „**სხვა საქართველო სად არის!**“; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეხედულებას, სრულიად დამაჯერებელია აზრი, რომ ამ სიტყვებს მართლაც გაეხმაურა „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოების“ მხილველი პოეტი, უდავოა, რომ სტრიქონები: „**სხვა საქართველო სად არის!**“ და „**ამაზე მეტი სხვა სამშობლო არ გამაჩნია!**“ მართლაც ერთ კონტექსტშია განსახილველი; გრიგოლ ორბელიანის ეს ფრაზა ტიცინ ტაბიძემაც აიტაცა („**სხვა საქართველო მაინც სად არის!**“), იოსებ ნონეშვილმაც დაწერა მასზე რემინისცენციით ლექსი („**ერი გულადი, პურადი!**“, / **სტუმარს ღვთის კაცად თვლიან,** / **არის ასეთი**

ქვეყანა, / მას საქართველო ჰქვია“), ალბათ ბევრს ახსოვს გიორგი ცაბაძის მიერ გიორგი ხუხაშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომლის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მასში თბილისია ნახსენები და არა – მთელი საქართველო, ასევე გრიგოლ ორბელიანისაგან არის დავალებული (**„ვეძებ და ვერსად ვპოვე მე სხვა თბილისი“**), პოეტები დიდ სიყვარულს გამოხატავენ საქართველოს მიმართ, გულწრფელი სიყვარულით აღწერენ მის ღვთაებრივ მშვენიერებას, – აქაურ ხალხსა და ქვეყანას, გულწრფელად ეფერებიან სამშობლოს და მურმან ლებანიძეც მხარს უბამს მათ, კითხვა – **„სხვა საქართველო სად არის“** პასუხს თავისთავად გულისხმობს და, როგორც ჩანს, ეთანხმება მურმანი გრიგოლ ორბელიანს, ტიციან ტაბიძეს, ანა კალანდაძეს, ადასტურებს, რომ **არსად არ არის სხვა საქართველო**, არ გაგვაჩნია ჩვენ სხვა სამშობლო...

და ერთსაც დავძენთ: კარგი იქნება, ცალკე ნაშრომში წარმოჩნდეს, თუ როგორი გრადაცია განიცადა „სხვა საქართველოს“ ხსენების, მისი „ძიების“ თემამ ქართულ პოეზიაში: ბოლო, რასაც ამ სახეცვლილებათა და აღმა-დაღმასვლის მაჩვენებელ „რუკაზე“ ვხედავთ, **ჯერჯერობით** ვახუშტი კოტეტიშვილის ეს სტრიქონებია: **„გავაბითურეთ სამშობლო, / მართლა სამოთხის სადარი, / სხვა საქართველო კი არა, / თვით საქართველო სად არის!“*** ღვთის წინააღმდეგ ამბოხების გამო ზეციდან გადმოგდებული ანგელოზი, **„ქება და დიდება ქართულისა ენისა“** და მკვდარი ლაზარეს საფლავთან მდგარი იესო ქრისტე გვახსენდება ამ ყოველივეს ფონზე და იმედად ის რჩება, რომ ქართულ პოეზიასა თუ პროზაში ოდესმე დაიწერება სულიერად მართლა განმაცოცხლებელი ფრაზები, უფლის ამ სიტყვებით რომ იქნება ნასაზრდოები: **„ლაზარე, გამოვედ გარე!“**...

* ამავე სემანტიკურ სივრცეშია განსახილველი ეს ოპოზიციური კონტექსტი: ერთი მხრივ, – პოეტის მიერ გარემოს ასეთი აღქმა: **„რა ძნელია, [...] მიდიოდე და ჰფიქრობდე, ეს არ არის საქართველო“** (გალაკტიონი, მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი) და მეორე მხრივ, – **„მიდიოდა ნინო მთებით [...] მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე“** (ანა კალანდაძე)...

დამოწმებანი:

ასათიანი 1988: ასათიანი, ლ. *რჩეული (ლექსები, წერილები, ჩანაწერები)*. შეადგინა მანანა ასათიანმა, მურმან ლებანიძის რედ. და წინასიტყვაობით. თბილისი: 1988.

გალაკტიონი 1988: ტაბიძე, გ. *თხზულებანი ორ წიგნად, ლექსები*. ტ. I. შეადგინა ვ. ჯავახაძემ. თბილისი: 1988.

კვაჭანტირაძე 2016: კვაჭანტირაძე, მ. „ავტორის პრობლემა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში“. *სჯანი*, 16. თბილისი: 2016.

ლებანიძე 1987: ლებანიძე, მ. *რჩეული ლირიკა*. თბილისი: 1987.

რჩეულიშვილი 1961: რჩეულიშვილი, გ. „სალამურა“. *მოთხრობები*. გ. შატბერაშვილის წინასიტყვაობა. თბილისი: 1961.

ცხადაია 2012: ცხადაია, ზ. „მურმან ლებანიძე“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXXIII. თბილისი: 2012.